

UNESCO „კოდხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის“ გრანტს გამოყოფს



დაცული ტერიტორიების სააგენტო, UNESCO - სთან და დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდთან თანამშრომლობით, ახალი საგრანტო პროექტის განხორციელებას იწყებს.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში UNESCO-ს პირველი მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის „კოდხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ პოპულარიზაციას, მისი მართვის ეფექტურობისა და მდგრადი ტურიზმის ხერხეწყოებას, მათ შორის, აღნიშნული ტერიტორიების უნივერსალური ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. პროექტის ფარგლებში, მოხარისხობრივი პროგრამის საშუალებით 20 ადგილობრივ ახადგამზდას, შესაძლებლობა მიეცემა ჩაერთონ UNESCO-ს საიტის მართვის პროცესში, დასაქმდნენ „კოდხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ მმართველ სტრუქტურაში, გაეცნონ დაცული ტერიტორიების მართვის სპეციფიკას, დაეხმარონ რეინჯერებს ყოველდღიური მოვარეობის შესრულებაში, მათ შორის, ბილიკების კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ბუნების დაცვა-შენარჩუნება და მონიტორინგი.

პირველად საქართველოს ისტორიაში, 2021 წელს, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას, „კოდხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები-ს“ სტატუსით, საქართველოს 4 დაცული ტერიტორია შეემატა. კოდხეთისა და მტირადას ეროვნული პარკები და ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები.

პროექტი ხორციელდება UNESCO-ს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით.